



ადამიანის უფლებების
აქრონული ინსტიტუტი
NATIONAL INSTITUTE
FOR HUMAN RIGHTS



ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის წინადადება ევროპული და ატლანტიკური ინტეგრაციის კონსტიტუციური მანდატის შესახებ

ავტორი: დავით ზედელაშვილი, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

კონსტიტუციის ნორმის შეთავაზებული ფორმულირება:

„1.საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის შესაბამისად, რომელიც ევროპული და ატლანტიკური ორიენტაციისაა, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ ევროპულ და ატლანტიკურ სახელმწიფოთა გაერთიანებებში საქართველოს სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის აუცილებელ სახელმწიფო პოლიტიკას.

2. ევროპულ და ატლანტიკურ სახელმწიფოთა გაერთიანებებში საქართველოს წევრობა, ასევე ამ გაერთიანებების ინსტიტუტებისათვის სუვერენული უფლებამოსილებების გადაცემა, ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, სუბსიდიარობის პრინციპისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული სხვა პრინციპების დაცვით.

3.სახელმწიფოთა გაერთიანება, რომლის წევრიცაა საქართველო უნდა ეფუძნებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს, დემოკრატიული მმართველობის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის პრინციპებს. დაუშვებელია საქართველოს მონაწილეობა სახელმწიფოთა ისეთ გაერთიანებაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელიც უარყოფს ამ პუნქტით გათვალისწინებულ პრინციპებს, ან არ მოქმედებს მათ შესაბამისად.“

ევროპული და ატლანტიკური ინტეგრაციის კონსტიტუციური მანდატი

რატომ არის საჭირო კონსტიტუციური მოწესრიგება ?

საქართველოს კონსტიტუცია არ არის მხოლოდ სახელისუფლებო ორგანოების მუშაობის განმსაზღვრელი ფორმალური სამართლებრივი დოკუმენტი. ის დამფუძნებელი

დოკუმენტია. საქართველოს კონსტიტუცია აფუძნებს თანამედროვე ქართულ სახელმწიფო ხელისუფლებას და განსაზღვრავს ქართული კონსტიტუციური წესრიგის ძირითად პრინციპებს, შინაარსს და ორგანიზაციულ და ინსტიტუციურ მოწყობას.

საქართველოს კონსტიტუციური წესრიგი დაფუძნებულია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციურ გადაწყვეტილებაზე, შექმნან სუვერენული სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც ემყარება დემოკრატიული მმართველობის, ხელისუფლების დანაწილების, სამართლებრივი სახელმწიფოს, ადამიანის წარუვალი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის პრინციპებს.

აღნიშნული ნიშნები ქმნიან საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის განუყოფელ იდენტობას.

კონსტიტუციური წესრიგის მყარი საფუძველია მისი დაფუძნება კონკრეტულ (საქართველოს) ტერიტორიაზე კონკრეტული (ქართველი) ხალხის მიერ, თუმცა წესრიგის ფუნდამენტური იდენტობის ნაწილია ასევე მისი ორიენტაცია გლობალურ სივრცეში, მისი მიმართება მსოფლიოსთან. მაგალითისთვის, სუვერენული სახელმწიფოების მიერ შექმნილ საერთაშორისო სისტემაში, თანასწორ საფუძვლებზე მონაწილეობა თანამედროვე სუვერენული სახელმწიფოს აუცილებელი ნიშანია.

შესაბამისად, კონსტიტუციური წესრიგის ორიენტაცია გლობალურ სივრცეში არის ფუნდამენტური კონსტიტუციური მნიშვნელობის საკითხი, რომელიც კონსტიტუციით გადაწყვეტას მოითხოვს.

რატომ არის საჭირო ევროპული ინტეგრაციის სპეციალური მოწესრიგება ?

საქართველოს კონსტიტუცია უკვე ადგენს საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის გლობალურ სივრცეში ორიენტაციის ზოგად პრინციპებს. მაგალითად განსაზღვრავს რა, საერთაშორისო სამართლის ადგილს საქართველოს სამართლის სისტემაში.

ამის მიუხედავად, ევროპული ინტეგრაცია თავისი განსაკუთრებული ბუნებით, განსხვავებულ კონსტიტუციურ სამართლებრივ გადაწყვეტას მოითხოვს. ევროპის კავშირის წევრობა ნიშნავს კავშირის ინსტიტუტებისთვის სუვერენული უფლებამოსილებების, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სუვერენული უფლებამოსილების - საკანონმდებლო უფლებამოსილების გადაცემას და ევროპული სამართლის უზენაესობის აღიარებას შიდა სამართალთან მიმართებით.

აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციური გზებით, რადგან საკითხი ეხება კონსტიტუციური წესრიგის იდენტობის მნიშვნელოვან ნაწილებს.

ევროპული კონსტიტუციური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საჭიროა ევროპულ გაერთიანებაში მონაწილეობის ცალსახა კონსტიტუციური მანდატი.

აღნიშნული მანდატი უნდა ითვალისწინებდეს როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ გასატარებელი ევროპული პოლიტიკის განსაზღვრას, ასევე ამ მიმართულებით კონსტიტუციური ინსტრუმენტების გათვალისწინებასაც.

რა ძირითად წესებსა და პრინციპებს ეფუძნება ევროპული ინტეგრაციის კონსტიტუციური მანდატი ?

კონსტიტუცია უნდა ითვალისწინებდეს სუვერენული უფლებამოსილებების გადაცემის შესაძლებლობას სუვერენულობის შელახვის ან დაკარგვის გარეშე.

სუვერენული უფლებამოსილებების გადაცემა სუვერენიტეტის შელახვის/დაკარგვის გარეშე შესაძლებელია შემდეგი პრინციპების დაცვით:

სუვერენული უფლებამოსილების გადაცემა ხდება ნებაყოფილობით, საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე;

სახელმწიფო იტოვებს შეუზღუდავ უფლებამოსილებას გააუქმოს სუვერენული უფლებამოსილების გადაცემის აქტი და დატოვოს შესაბამისი გაერთიანება;

სუვერენული უფლებამოსილებების გადაცემა არ ნიშნავს სუვერენიტეტის სრულად, როგორც ასეთის გასხვისებას ან დათმობას;

გაერთიანების ინსტიტუტებისთვის გადაცემული უფლებამოსილებანი მხოლოდ ავსებენ სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებამოსილებებს;

სუბსიდარულობის პრინციპი გულისხმობს, რომ ევროპის კავშირის ინსტიტუტები მკაცრად განსაზღვრული ექსკლუზიური კომპეტენციების მიღმა, მათზე დელეგირებულ საკანონმდებლო უფლებამოსილებას იყენებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც წევრი სახელმწიფოების ძალისხმევა არ არის საკმარისი საკითხის გადასაწყვეტად.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოთა გაერთიანებაში მონაწილეობამ და ამ უკანასკნელისთვის სუვერენული უფლებამოსილებების გადაცემამ არ მხოლოდ არ გამოიწვიოს სუვერენიტეტის შელახვა/დაკარგვა, არამედ კონსტიტუციური წესრიგის განუყოფელი იდენტობის მოშლაც;

ამ იმპერატივიდან გამომდინარეობს სახელმწიფოთა ისეთ გაერთიანებებში მონაწილეობისა და ამ უკანასკნელთათვის სუვერენული უფლებამოსილებების გადაცემის აკრძალვა,

რომლებიც უარყოფენ იმ პრინციპებს, რომელიც განსაზღვრავენ საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის შინაარსს. (დემოკრატიული მმართველობის, ხელისუფლების დანაწილების, სამართლის უზენაესობის, ადამიანის წარუვალი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის პრინციპები)